



სასტუმრო ივერია რედისონში ჩატარებულ შეხვედრაზე, რომელიც ორგანიზებული იყო „ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის“ და „საქართველოს ბიზნეს ასოციაციის“ მიერ, წარმოთქმული მიტროპოლიტი დანიელის სიტყვა

ქრისტიანული ფასეულობები და თანამედროვეობის გამოწვევები

XVIII ს-დან მოყოლებული ქრისტიანული ცივილიზაციის წიაღში გაჩნდა და განვითარდა ახალი მსოფლმხედველობრივი პარადიგმა - მოდერნი. ეს მიმდინარეობა საკუთარ თავს ქრისტიანობის ალტერნატივად აცხადებს. მიუხედავად ქრისტიანობასთან მოდერნის ფუნდამენტალური სხვაობისა და შეურიგებლობისა, მათ შორის არის მეტად მნიშვნელოვანი გამაერთიანებელი ფაქტორი.

მოდერნისტული ცნობიერება ქრისტიანულ მემკვიდრეობაზე აღმოცენებული ფენომენია. ფაქტიურად იგი ქრისტიანობის შვილია, მაგრამ შვილი, რომელმაც არ ისურვა წინაპართა გზის გაგრძელება. იგი მოგვაგონებს სახარებისეული იგავის უძღვებ შვილს, რომელმაც დატოვა მამის სახლი და წავიდა უცხო ქვეყანაში. იგავში მოხსენიებული მამა არის სიმბოლო ღმერთის. შვილის მამის სახლიდან წასვლა ნიშნავს ადამიანის მიერ საღმრთო სიბრძნის კაცობრივი სიბრძნით ჩანაცვლებას. უძღვები შვილის იგავისაგან განსხვავებით მოდერნისტული ცნობიერება ახალ პარადიგმას გვთავაზობს. უძღვებმა შვილმა აღიარა თავისი დანაშაული და დაბრუნდა მამის სახლში. მოდერნისტული მსოფლმხედველობით მამის სახლიდან წასული შვილი არ არის უძღვები ანუ უმადური, არამედ იგი არის უკეთესი ფასეულობების მაძიებელი და შემოქმედი. ამიტომ იგი ბრუნდება მამის სახლში არა სინანულით, არამედ მამის ადგილის ჩანაცვლების პრეტენზიით. სახეზეა, ქრისტიანული მემკვიდრეობის არა ღვთაებრივი არამედ კაცობრივი სიბრძნის საფუძველზე განკარგვის მცდელობა. ამ მოვლენას ეწოდება სეკულარული ჰუმანიზმი, ანუ ჰუმანიზმი, რომელიც მოწყვეტილია თავის ქრისტიანულ ფესვებს.

სეკულარიზმი, ისევე როგორც გლობალიზაცია, არ შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი, რადგანაც ისინი მხოლოდ სოციუმის რეგულაციის ინსტრუმენტები არიან. დადებითი ან უარყოფითი შეიძლება იყოს მათი სწორი ან არასწორი გამოყენება. მაგალითად: გამიჯვნა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებითი მოვლენაა. როგორც სახელმწიფო არ შეიძლება იმართებოდეს საეკლესიო წესებით, ასევე ეკლესიაში არ შეიძლება პოლიტიკური მეთოდების გამოყენება. ამგვარი გამიჯვნა არათუ ეწინააღმდეგება თანამშრომლობას სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, არამედ ხელს უწყობს ამ პროცესს, იცავს რა მას ინსტიტუციონალური აღრევისაგან. სულ სხვა შემთხვევაა საჯარო სივრციდან რელიგიური ცნობიერების გამიჯვნის მცდელობა. ასეთი სეკულარიზმი ინსტიტუციონალურისაგან განსხვავებით მსოფლმხედველობრივი ხასიათისაა და საკუთარ თავში ახალი ტიპის ტოტალიტარიზმის საფრთხეს შეიცავს.

XX და XXI ს-ის ცნობილი მოაზროვნეები გამობენ მსოფლმხედველობრივ სეკულარიზმს და აქტიურად მსჯელობენ პოსტსეკულარიზმის პროცესის დაწყებაზე ანუ საერო და სასულიერო სფეროების დაახლოების პერსპექტივაზე. ჯერ კიდევ XX ს-ის 60-იან წლებში ცნობილი მართლმადიდებელი საეკლესიო მოღვაწე დეკანოზი ალექსანდრე შემეანი სეკულარიზმის შესახებ წერდა: „ამჟამად მთელი მსოფლიო სეკულარული გახდა. უკეთეს შემთხვევაში იგი ადამიანს ეუბნება: „თუ გინდა გწამდეს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ჩარიო რელიგია ცხოვრების არც ერთ სფეროში - არც მეცნიერებაში, არც ხელოვნებაში, არც პოლიტიკაში, არც მეურნეობაში. აქ არ არის რელიგიის ადგილი“. რელიგიის ბედზე ამ სეკულარულ მსოფლიოში, სადაც რელიგია იმდენად აკრძალული კი არაა (რადგან ბოლოსდაბოლოს, რწმენის, ღოცვის, ღმერთთან პირადი ურთიერთობის აკრძალვა შეუძლებელია), რამდენადაც მოკვეთილია ცხოვრების ყველა გამოვლენისაგან, უნდა დაფიქრდნენ მორწმუნეებიც და ურწმუნოებიც. რატომ? გამიჯვნა, რაც საფუძვლად უდევს სეკულარიზმს, და რაც რელიგიას განდევნის „კერძო“ სფეროში, ადრე თუ გვიან იწვევს ადამიანის დამონებას და დავამატებ, იმგვარ დამონებას, რომლის დროსაც ურწმუნო დამონებულია განუზომლად უფრო მეტად, ვინემ მორწმუნე, რადგან ის, რასაც თანამედროვე ენაზე ეწოდება ტოტალიტარიზმი, არის სეკულარიზმის პირდაპირი და გარდუვალი შედეგი“ (ა. შემეანი, რელიგია და საზოგადოება: რელიგია საჯარო სივრცეში).

პიტერ ლუდვიგ ბერგერი, ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი, სეკულარიზმის ერთ-ერთი აპოლოგეტი წარსულში, თავის წიგნში „უკუქცეული სეკულარიზმი“ (1996 წ.) წერს: „ის, ვინც უგულვებლყოფს რელიგიის მნიშვნელობას თანამედროვე ურთიერთობების ანალიზისას, ამას სჩადის თავისი შიშისა და რისკის გამო“.

2001 წლის 14 ნოემბერს გერმანელმა ფილოსოფოსმა იურგენ ჰაბერმასმა, როცა მას მშვიდობის პრემიას ანიჭებდნენ, ბრძანა: „სეკულარულმა უმრავლესობამ მნიშვნელოვან საკითხებზე არ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მანამ, სანამ არ მოუსმენს ოპონენტებს, რომლებიც თავიანთი რელიგიური რწმენის გამო უფლებაშელახულად გრძნობენ თავს უმრავლესობის მხრიდან“.

წიგნში „სეკულარიზაციის დიალექტიკა“ იგი განავრცობს აზრს იმის შესახებ, რომ ხელისუფლების მიერ სეკულარული მსოფლმხედველობის ყველა ადამიანის მიმართ გავრცობა შეუთავსებელია სახელმწიფოს იდეოლოგიურ ნეიტრალურობასთან, რადგან იგი ვერ უზრუნველყოფს ყოველი მოქალაქის თანაბარ ეთიკურ თავისუფლებას. ამ მოსაზრების საფუძველზე იგი ასკვნის: „არარელიგიურმა ადამიანებმა, რამდენადაც ისინი სახელმწიფოს მოქალაქეები არიან, პრინციპულად არ უნდა უარყონ ჭეშმარიტების პოტენციაში სამყაროს რელიგიური აღქმა და არ უნდა წაართვან მორწმუნე მოქალაქეებს უფლება რელიგიური ცნებების მეშვეობით თავიანთი წვლილი შეიტანონ საზოგადოებრივ დისკუსიაში“. ამავე წიგნში ავტორი აღნიშნავს: „პოსტსეკულარულ სოციუმში ყალიბდება განწყობა იმ გარემოების აღიარებისათვის, რომ „საზოგადოებრივი ცნობიერების მოდერნიზაცია“ ახალ ფაზაში გადასვლისას მოიცავს როგორც საერო, ისე რელიგიურ მენტალობას და რეფლექსურად სახეს უცვლის მას“.

2012 წელს მისი უწმიდესობის ილია II აღსაყდრების 35 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე „შემობრუნება სულიერებასაკენ“ იგივე აზრი სეკულარიზმის შესახებ გამოთქვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ბატონმა დავით უსუფაშვილმა. „...არასწორი დასკვნა კეთდება, თითქოს ლიბერალური დემოკრატია გულისხმობს სეკულარიზაციას რელიგიისა და სახელმწიფოს შორის მსოფლმხედველობრივ დონეზე, სინამდვილეში სეკულარიზაცია ეს არის ინსტიტუციურ დონეზე, მსოფლმხედველობრივ დონეზე რელიგიისა და სახელმწიფოს სეკულარიზაცია, ეს არის ახალი ტოტალიტარიზმის დასაწყისი, გარდაუვალი დასაწყისი“.

აგრესიული სეკულარიზმის კვლევისას აღმოვაჩინეთ, რომ მისი წარმოშობის მიზეზი არა მარტო ადამიანის უმადურობა და ამპარტავენებაა, არამედ არანაკლებად თუ მეტად არა, რელიგიური ზედაპირულობა და ინდიფერენტიზმი. კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ უძღვები შვილის იგავს. მამის სახლში დაბრუნებულ შვილს იქ ხვდება მისი უფროსი ძმა, რომელიც შეცდომილი ძმის მოქცევით გამოწვეულ სიხარულში ვერ მონაწილეობს. იგი საყვედურობს მამას იმის გამო, რომ მან დიდი ნადიმი გამართა ცოდვილი ვაჟის დაბრუნების აღსანიშნავად, მაშინ, როდესაც მისთვის, მისი ერთგული შვილისათვის, მსგავსი რამ არასოდეს გაუკეთებია.

ამ საქციელით უფროსი შვილი ამჟღავნებს ანგარებას მამისადმი დამოკიდებულებაში. მართალია, იგი მამის სახლიდან არ წასულა, მაგრამ მისი მორჩილება ეფუძნება არა სიყვარულს, არამედ მემკვიდრეობის კანონიერად დაუფლების სურვილს. უფროსი შვილი არის ღვთისადმი გარეგნული ანუ მოჩვენებითი ერთგულების სიმბოლო.

ძნელი სათქმელია, რა უფრო დიდი ბოროტებაა მემკვიდრეობის უკანონოდ მიტაცება თუ მისი მიღება კანონის ფარისეველური აღსრულებით. ბოლო საუკუნეებში ქრისტიანული საზოგადოების წიაღში სეკულარული და ათეისტური ტენდენციების გაჩენის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი სწორედ მორწმუნეთა შორის ფარისეველობისა და რელიგიური ინდიფერენტიზმის გამოვლენა და გამრავლებაა.

ფარისეველებს არ ანადვლებთ მამის სახლს მოწყვეტილი შვილების ბედი. უძღვებ შვილებს ისინი ამხელენ არა მათი მოქცევის მიზნით, არამედ საკუთარი თავის წარმოჩენისა და უპირატესობის საჩვენებლად. შესაბამისად, უძღვები შვილების მხრიდანაც მათ უბრუნდებათ აგრესია და რადიკალიზმი. რელიგიური რადიკალიზმი ისეთივე ბოროტებაა, როგორც სეკულარული. ორივე შემთხვევაში მიზეზი გახლავთ პრობლემის გადაჭრის მცდელობა საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების დრმა ანალიზის გარეშე. მხოლოდ საზოგადოებაში არსებული სულიერი და კულტურული ფასეულობების გათვალისწინებით მიიღწევა კონსესუსი და ჰარმონია განსხვავებული მსოფლმხედველობის წარმომადგენლებს შორის.

პოსტსეკულარიზმი ნიშნავს წონასწორობის აღდგენას სულიერ და მატერიალურ ფასეულობებს შორის. ამ პროცესში სეკულარული ჰუმანიზმის აგრესია უნდა გაანეიტრალდოს არა საპირისპირო აგრესიამ, რისი მაგალითებიც, სამწუხაროდ, არსებობს რელიგიური საზოგადოების ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან, არამედ არგუმენტირებულმა საღვთისმეტყველო, ფილოსოფიურმა და სამეცნიერო ოპონირებამ.

ამასთან ერთად აუცილებელია ამ პრობლემატიკის გარშემო სამოქალაქო საზოგადოების კონსოლიდაცია.

მისი უწმიდესობა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, საპატრიარქო მოღვაწეობის დაწყებიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდა ამ საკითხს. 1995 წლის საადღმომო ეპისტოლეში იგი წერს: „თუ სულიერებისა და ინტელექტუალური აზროვნების წარმომადგენლები ერთმანეთს არ დაუახლოვდებიან, მსოფლიო დადგება გაუთვალისწინებელი საბედისწერო კატაკლიზმების წინაშე.“

...ინტელიგენციაში დიდი პოტენციური ძალაა. წარსული დროის უმძიმეს პერიოდებში მოაზროვნე ფენა ჩვენი ქვეყნის ხალხში ნერგავდა განათლებისა და პროგრესის მაღალ იდეალებს, ცდილობდა მიახლოებოდა ღრმა ფილოსოფიურ საკითხებს და აბსოლუტური ჭეშმარიტების პრობლემას. ერთადერთი, რაც მას აკლდა, ეს იყო ჭეშმარიტი სარწმუნოების სრული გააზრება. თავის ფუნქციის სწორად შეფასებასა და შესრულებას ინტელიგენცია შეძლებს მხოლოდ მაშინ, თუ თავის ცოდნას რწმენას დაუკავშირებს“.

ქრისტიანული ფასეულობების დაცვისა და განმტკიცების უპირველესი ამოცანებია:

- I. შევახსენოთ თანამედროვე საზოგადოებას, რომ ბოლო საუკუნეების არნახული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი წარმოიშვა და განვითარდა ქრისტიანობის წყალობით და მის წიაღში.
- II. ღრმად გაგაცნობიეროთ ის სულიერი თუ მატერიალური კრიზისები, რაც მოჰყვა თანამედროვე საზოგადოების ქრისტიანული ფესვებისაგან მოწყვეტას.
- III. წარმოვაჩინოთ, რომ სეკულარული ჰუმანიზმი არის პირდაპირი შედეგი ქრისტიანულ საზოგადოებაში ბოლო საუკუნეების მანძილზე სულიერი ცხოვრების წესის შესუსტებისა.
- IV. დავარწმუნოთ ჩვენი საზოგადოება, რომ სულიერ და მატერიალურ ფასეულობებს შორის წონასწორობის აღდგენა, უპირველეს ყოვლისა, ქრისტიანთა პასუხისმგებლობის დონის ამაღლებით არის შესაძლებელი.

ამ ამოცანების გადასაჭრელად საჭიროა პირველ ეტაპზე მეცნიერულად დამუშავდეს და პოპულარულ ენაზე გამოიცეს:

- I) ქრისტიანული ფასეულობების საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური საფუძვლები;
- II) ქრისტიანული ფასეულობების როლი საკაცობრიო ცივილიზაციის განვითარებაში;
- III) ქრისტიანული ფასეულობებისაგან გაუცხოების მსოფლმხედველობრივი ტენდენციები და მათი შედეგები;

IV) ქრისტიანულ საზოგადოებაში არსებული რელიგიური ზედაპირულობისა და ინდიფერენტობის ტენდენციები და შედეგები;

მეორე ეტაპზე მეცნიერულად დამუშავებული მასალები უნდა გავრცელდეს მოსახლეობის ფართო წრეებში და ამ პრობლემების გარშემო მოხდეს ქრისტიანული ფასეულობების ერთგული საზოგადოების კონსოლიდაცია.

საქართველოს საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის

განყოფილების თავმჯდომარე ჭიათურისა და

სახხერის მიტროპოლიტი დანიელი

სასტუმრო ივერია რედისონი,

ხარება, 7.04.2016